

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად პრინციპებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაფასებელ სფეროებს და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების და განვითარების წესს.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება თანამშრომლობის მაღალი ხარისხის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში უნივერსიტეტის ყველა რგოლის ეფექტურად ჩართვის, საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების და მართვის პროცესში ხარისხის ფუნქციის ინტეგრირების პრინციპებს და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებას და ხარისხის კულტურის ამაღლებას.

3. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსის არსებობას.

4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**მუხლი 2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები**

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების შეფასებას და გარდა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურისა, მასში ჩართულია: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, ენების ცენტრი და სხვა სტრუქტურული ერთეულები, მათი საქმიანობის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასების მიზნით.

**მუხლი 3. ხარისხის შეფასება**

1. ხარისხის შეფასება გულისხმობს რელევანტური კვლევის მეთოდების გამოყენებით, წინასწარ ჩამოყალიბებული ინსტრუმენტების მეშვეობით კვლევას, ანალიზს და განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებას, რომელსაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

2. ხარისხის შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

#### **მუხლი 4. შესაფასებელი სფეროები**

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავებას და გამოყენებას;

ბ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მის გამოყენებას;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას და შეფასების პროცესში აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.) აქტიურ ჩართულობას;

დ) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას, ამ მიზნით, სათანადო ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების დადგენას, რამაც უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობით;

ე) უნივერსიტეტის რესურსების და მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასებას;

ვ) სხვა მიზნობრივ კვლევებს, საჭიროების გათვალისწინებით.

#### **მუხლი 5. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების და განვითარების წესი**

1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში იქმნება კვლევის ჯგუფი, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებით აფასებს ხარისხის მექანიზმების ეფექტიანობას და შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს. შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით და უნივერსიტეტში დამტკიცებული პროცედურების დაცვით ხდება საჭირო ცვლილებების განხორციელება.

2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის შედეგად გატარებული ცვლილებების მაჩვენებლები და მათი ეფექტიანობის შეფასება. კერძოდ, მხედველობაში მიიღება, რა სახის რეკომენდაციების შემუშავება გახდა შესაძლებელი განხორციელებული კვლევების შედეგად; რა ნაბიჯები გადაიდგა რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით; ინტერვენციიდან გონივრული ვადის გასვლის შემდეგ ასევე ფასდება, ჰქონდა თუ არა შედეგი ინტერვენციას;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დასახული გეგმების შესრულების შეფასება;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამული უზრუნველყოფის შეფასება - აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ინსტრუმენტების გამოყენებით მიღებული შედეგების

სისტემატური დამუშავების შედეგად წარმოჩენილი ტენდენციების გათვალისწინებით; ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირების მხრიდან გამოთქმულმა მოსაზრებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას;

დ) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების მუშაობის შეფასების შედეგები;

ე) გარე შემფასებლების მხრიდან განხორციელებული შეფასებები, რეკომენდაციები და შესაბამისი შედეგები.